საიდ. №64159/03
IR1088694

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №153-03/12

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, ი. გიქორაშვილი, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 199-ე მუხლის თანახმად ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „მაგელან" („Magellan") სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №1528 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში რომლითაც განცხადებული სასაქონლო ნიშანს „BONOBO" უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-14, მე-18 და 25-ე კლასების საქონლის ჩამონათვლისათვის. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად განსცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან იგი მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „MAGELLAN SAS" სახელზე რეგისტრირებული და საქართველოში დაცული ნიშნისა „BONOBO" (IR919816, თარიღ: 12.01.07.წ.), მე-14, მე-18 და 25-ე კლასების მსგავსი ჩამონათვლისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით განცხადებულ ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი პავლე მეიფარიანი მიიჩნევს, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №1528 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებული სასაქონლო ნიშანს „BONOBO" უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-14, მე-18 და 25-ე კლასების საქონლის ჩამონათვლისათვის.

აპელანტი მის სააპელაციო საჩივარში განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა „BONOBO" (IR919816) კომპანიამ „MAGELLAN SAS" (მის. 10 იმპას დიუ გრანდ ჟარდინ, 35400 სენ-მალო, საფრანგეთი, 10 impasse du Grand Jardin, 35400 SAINT-MALO, France) შეიცვალა სახელწოდება და მისამართი და ამჟამად მისი სახელწოდება და მისამართია „მაგელან" (მის. „ლა მუანრი"-10 იმპას დიუ გრანდ ჟარდინ, 35400 სენ-მალო, „MAGELLAN" - „La Moinerie" 10 impasse du Grand Jardin, 35400 SAINT-MALO, France).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №1528 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებული სასაქონლო ნიშანს „BONOBO" უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-14, მე-18 და 25-ე კლასების საქონლის ჩამონათვლისათვის.

დაპირისპირებული ნიშნის „BONOBO" (IR919816) მფლობელმა კომპანიამ „MAGELLAN SAS" (მის. 10 იმპას დიუ გრანდ ჟარდინ, 35400 სენ-მალო, საფრანგეთი, 10 impasse du Grand Jardin, 35400 SAINT-MALO, France) მფლობელმა კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება და მისამართი შემდეგზე: „მაგელან" (მის. „ლა მუანრი"-10 იმპას დიუ გრანდ ჟარდინ, 35400 სენ-მალო, „MAGELLAN" - „La Moinerie" 10 impasse du Grand Jardin, 35400 SAINT-MALO, France). აღნიშნული ცვლილება დაფიქსირებული საქპატენტის ოფიციალურ რეესტრში, ისევე როგორც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო)

ოფიციალურ რეესტრში. აღნიშნული ცვლილების შედეგად განცხადებული და დაპირიპსირებული ნიშნების მფლობელი ერთიდაიგივე პირია: „მაგელან" (მის. „ლა მუანრი"-10 იმპას დიუ გრანდ ჟარდინ, 35400 სენ-მალო, ,,MAGELLAN" - ,,La Moinerie" 10 impasse du Grand Jardin, 35400 SAINT-MALO, France).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №1528 ბრძანება, იმ ნაწილში რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს ,,BONOBO" უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-14, მე-18 და 25-ე კლასების საქონლის ჩამონათვლისათვის.

.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „მაგელან" (,,MAGELLAN") სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №1528 ბრძანება, იმ ნაწილში რომლითაც განცხადებული სასაქონლო ნიშანს ,,BONOBO" უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-14, მე-18 და 25-ე კლასების საქონლის ჩამონათვლისათვის.
3. სასაქონლო ნიშანს ,,BONOBO" (IR1088694) მიენიჭოს დაცვა ასევე მე-14, მე-18 და 25-ე კლასების განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.) გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან

ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	ე. ქემაშვილი
	ი. გიქორაშვილი